| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის მეორე შენობაში განთავსებულია სპორტული დარბაზი,(300 კვ.მ) რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით: კალათბურთის ფარი, 2 ბაგირი, 2 შვედური კედელი. დარბაზს ახლავს გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისთვის. დარბაზის გვერდით განთავსებულია სივრცე (40 კვ.მ), რომელიც ასევე გამოიყენება სპორტული აქტივობებისთვის. ორივე დარბაზი სკოლას იჯარის ხელშეკრულებით აქვს აღებული შპს სეფებანისგან. სკოლის ეზოში განთავსებულია სტანდარტების შესაბამისი, ხელოვნურსაფარიანი, დიდი სპორტული სტადიონი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• შპს სეფებანთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში 1 საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომელშიც განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი კარადა. სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი და რეაქტივები განთავსებულია კარადებში, ცალკე გამოყოფილ სივრცეში. კაბინეტში დამონტაჟებულია პროექტორი, და განთავსებულია მაგიდა, რომელშიც ჩამონტაჟებულია ეკრანები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვირტუალური ლაბორატორიებისთვის.სკოლამ წარმოადგინა მიღება - ჩაბარების აქტი, რითაც დასტურდება, რომ სკოლამ ვირტუალური ლაბორატორიის სრული კომპლექტი, ფიზიკისა და IT ტექნოლოგიების მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგი და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიების გზამკვლევი, შეიძინა შპს „მეცნიერების, განათლებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების აკადემიისგან“. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ლაბორატორიების, მათ შორის ვირტუალური ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• სასაქანლო ზედნადებები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;<br>• მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას მიეწოდება წყალი, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და ფაქტობრივი მდგომარეობით. ბუნებრივი განათებისათვის საკლასო ოთახებს აქვს დიდი ფანჯრები, ხოლო სხვენში განთავსებულ ოთახებში დამონტაჟებულია დიდი დახრილი ფანჯრები, რომლებიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. ამავე ოთახებში დამონტაჟებულია დღის განათების გრძელი ნათურები. სკოლაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, რომლის საქვაბე, აღჭურვილია საჭირო სიმძლავრის ბუნებრივი აირის ქვაბებით.<br>სკოლის პირველი შენობის პირველ და მესამე სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისა და ბიჭებისთვის (პირველ სართულზე 4-4 კაბინა გოგონებისა და ბიჭებისთვის, მესამე სართულზე 3 გოგონებისა და 2 ბიჭებისთვის), ხოლო მეორე შენობაში სველი წერტილები განთავსებულია პირველ სართულზე (2 კაბინა გოგონებისათვის და 2 კაბინა ბიჭებისთვის). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის გადახდის ქვითრები;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე და მასში დაცულია 3590 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ასევე არაფორმალური განათლების მისაღებად განკუთვნილი საკითხავი და შემეცნებითი ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ელექტრონულად არის აღნუსხული. სკოლას აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა - "Open Biblio". ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, შესასვლელში გამოკრულია მუშაობის საათები 14:00 – 18:00). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ |

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებულია 21 კომპიუტერი, რამდენადაც ამავე სივრცეში ტარდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გაკვეთილები.<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია ბიბლიოთეკის და ისტ-ის კაბინეტის გამიჯვნასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ბიბლიოთეკის მუშაობა დილის საათებიდან დაიწყოს და წიგნთან წვდომა ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერ დროს.<br>ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი Open Biblio;<br>• ბიბლიოთეკარის პირადი საქმე;<br>• სასაქონლო ზედნადებები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შესასვლელებში დამონტაჟებულია მყარი, ხოლო სართულებზე ასასვლელ კიბეებისთვის სკოლას აქვს მოძრავი პანდუსები. პირველ სართულზე განთავსებულ სველ წერტილებში ერთი ადაპტირებულია სსსმ მოსწავლისათვის. სკოლას ამ ეტაპზე სსსმ და შშმ პირი არ ჰყავს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• მიღება ჩაბარების აქტები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლის აუდიტორიებში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, მათ შორის: 21 ბიბლიოთეკაში, 2 საბუნებისმეტყველო კაბინეტში, 4 ადმინისტრაციულ ოთახში, 1 ხარისხის მენეჯერის ოთახში, 1 საკონფერენციო დარბაზში, სკოლას აქვს ასევე ლეპტოპები, 4 მულტიფუნქციური კომბაინი, 1 პრინტერი და 3 პროექტორი.<br>სკოლის ვებგვერდზე **www.aia-gess.ge** განთავსებულია: სკოლის მისია და მიზნები; სკოლის ლოგო და ჰიმნი; შინაგანაწესი; 2022-2023 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები; სკოლის წარმატებების ისტორია; სკოლის სტრუქტურა; მასწავლებელთა სია; დამფუძნებლები; კონკურსები; გაცვლითი პროექტები; კლუბები, ფოტო და ვიდეო მასალა, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლება.<br>სკოლას აქვს facebook გვერდი, სადაც შექმნილია ჯგუფები კლასების მიხედვით და რომელიც ასევე ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას.<br>სკოლის ელექტრონული ფოსტაა: aia.gess11@gmail.com. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის ვებგვერდი **www.aia-gess.ge;**<br>• სკოლის facebook გვერდი;<br>• სკოლის ელექტრონული ფოსტა aia.gess11@gmail.com;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა - სკოლის მიერ შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესს“-ის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და მართვის გეგმა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია ხანძარსაშიში მდგომარეობის შემთხვევაში მოქმედებათა თანმიმდევრობა და ევაკუაციის წესები. ორივე შენობაში ყველა სართულზე განთავსებულია წესების დაცვით დამუხტული, 2-2 ვადიანი ცეცხლმაქრი თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). სკოლაში შექმნილია ინციდენტის მართვის გუნდი და დირექტორის N2-07 ბრძანებით გამოყოფილია ელექტრო უსაფრთხოებაზე და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>• შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;<br>• შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა;<br>• დირექტორის ბრძანება ინციდენტის მართვის გუნდის შექმნასთან დაკავშირებით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დირექტორის N2-07 ბრძანება ელექტრო უსაფრთხოებაზე და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, თუმცა სკოლაში დაწყებული იყო ევაკუაციის გეგმების შეცვლის პროცედურები. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებით.<br>სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელები და შესაბამისი რკინის კიბე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, შირმა, სასწორი, წამლების კარადა, მაცივარი, მაგიდა, საკაცე, დამონტაჟებულია ონკანი. დადგინდა, რომ ექიმი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას. ექიმმა წარმოადგინა - სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა; დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა; სკოლის ექიმის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

ГАНАТЛЕБИС ХАРИСХИС ГАНВИТАРЕБИС ЭРОВНУЛИ ЦЕНТРИ

| | |
|---|---|
| | საააღრიცხვო ფორმა; სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი.<br>სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის 2021 წლის ბრძანებით N2-35 დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი.<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა;<br>• დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა;<br>• სკოლის ექიმის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;<br>• ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა;<br>• სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაბამისად შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (23.06.2022 N608199).<br>წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ჯეო სეიფთთან“ 2022 წლის 15 სექტემბერს. ხელშეკრულების საგანი ითვალისწინებს სკოლისთვის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას და აკრედიტირებული სპეციალისტის გამოყოფას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით ზედამხედველობას გაუწევს სკოლას შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონებისა და რეგლამენტების საფუძველზე.<br>შემუშავებულია შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესს“-ის შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა, უსაფრთხოების კონტროლის მიზნით სკოლას შეძენილი აქვს მეტალმძებნი, და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი და განცალკევებაზე პასუხისმგებელი პირები.<br>წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ ასევე დამრიგებლები. ისინი ახორციელებენ კონტროლს და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–დამკვიდრებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სადამრიგებლო პროგრამები;<br>• შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>• შპს „ჯეო სეიფთთან“ 2022 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;<br>• შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესს“-ის შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • გასაუბრების შედეგები;<br>• სკოლის შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების 26 კამერა, მათ შორის 6 უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს, ხოლო 20 შიდა პერიმეტრს აკონტროლებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარება;<br>• ვიდეო-სამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ,,მეწარმეთა შესახებ საქართველოს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კანონით“ სხვა ნორმატიული აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი წესდებით, შინაგანაწესით და დებულებით. ორივე დოკუმენტი შინაგანაწესი და დებულება დამტკიცებულია შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის დირექტორთა საბჭოს მიერ.<br>სკოლის დებულება განსაზღვრავს სკოლის მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს, სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, სკოლის სტრუქტურას და სტრუქტურული ერთეულების, საგნობრივი დეპარტამენტების, ადმინისტრაციის, მასწავლებლების და პედაგოგიური საბჭოს, უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს, მაგრამ არ არის განსაზღვრული მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას ექსპერტთა მიერ მიეცა რჩევა - გაიწეროს სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ანუ ის მინიმალური მოთხოვნები, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი, რა ცოდნა და უნარები უნდა გააჩნდეს მას კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად.<br>დებულების თანახმად სკოლის მართვის ორგანოებია: სკოლის დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭო, დირექცია და პედაგოგიური საბჭო. დებულებით განსაზღვრულია ასევე სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეების მიღების წესი.<br>შინაგანაწესი უზრუნველყოფს შრომის დისციპლინის დაცვას, არეგულირებს სასწავლო/სამუშაო დროს, აწესრიგებს სკოლის გამართულ მუშაობას. შინაგანაწესით განისაზღვრება: სამუშაო დროის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საბოლოო ანგარიშსწორება; წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; მოსწავლეების დისციპლინური წარმოების თავისებურებანი; მატერიალური პასუხისმგებლობა; მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები; ჩაცმულობის წესი და გარეგნული სახე; შრომის პირობების დაცვის წესები; განცხადების/საჩივრის განხილვა.<br>სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.<br>სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი, ასევე წახალისების ფორმები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<br><br>სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე სხვადასხვა დებულება: ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; კლუბების დებულება; დეპარტამენტების დებულება; ბიბლიოთეკის დებულება, ერთიანი საქმისწარმოების დებულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის შინაგანაწესი;<br>• შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის დებულება;<br>• შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• დეპარტამენტის დებულება;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• ერთიანი საქმისწარმოების დებულება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები, ხოლო ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ასევე 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც. გეგმები დამტკიცებულია სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის დირექტორთა საბჭოს მიერ, ოქმი N1 29.08.2022წ.<br>სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით, სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაზე. აღნიშნული სამუშაო ჯგუფში ერთვება სკოლის სტრუქტრული ერთეულები/თანამშრომლები. ჯგუფი კვლევების საფუძველზე ადგენს სკოლის საჭიროებებს და მათი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის დირექტორთა საბჭო.<br>სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელმაც გასული წლების ანგარიშების და SWOT ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც 5 ძირითადი მიზანია წარმოდგენილი: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **სტრატეგიული მიზანი N1** ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა<br>**სტრატეგიული მიზანი N2**<br>საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია<br>**სტრატეგიული მიზანი N3**<br>სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა<br>**სტრატეგიული მიზანი N 4**<br>უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო<br>**სტრატეგიული მიზანი N 5**<br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება.<br><br>წარმოდგენილი მიზნები ჩაშლილია ამოცანებად, განსაზღვრულია განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირი/პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები და შესრულების ვადები.<br>2022-2023 ს/წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის მიერ დაგეგმილი რიგი ღონისძიებებისა, <u>თუმცა მათში სრულად არ არის ასახული სტრატეგიულ გეგმაში 2022-2023 ს/წლისთვის გაწერილი ამოცანები. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს იხელმძღვანელოს სტრატეგიული გეგმით და დასახოს შესაბამისი ამოცანები.</u> |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2021-2022 ს/წლის სამოქმედო გეგმა;<br>• 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა;<br>• 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შემუშავებულია ერთიანი საქმისწარმოების დებულება, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. დებულების თანახმად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კორესპონდენციები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით:<br><br>სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი:<br>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• შემოსული ცნობების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• გასული ცნობების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• გაცემული ცნობების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• გაცდენილი და შეცვლილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• შრომის ხელშეკრულებების რეგისტრციის ჟურნალი;<br>• საქმისწარმოების დებულება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რჩევები: | • გაიწეროს სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ანუ ის მინიმალური მოთხოვნები, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი, რა ცოდნა და უნარები უნდა გააჩნდეს მას კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად.<br><br>• 2022-2023 ს/წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის მიერ დაგეგმილი სასწავლო ღონისძიებები, თუმცა მათში სრულად არ არის ასახული სტრატეგიულ გეგმაში 2022-2023 ს/წლისთვის გაწერილი ამოცანები. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს იხელმძღვანელოს სტრატეგიული გეგმით და დასახოს შესაბამისი ამოცანები. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

### 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის დებულებით და საშტატო განრიგით განისაზღვრება სკოლაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანამდებობრივი მოვალეობები.<br>სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს დირექტორთა საბჭო, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დირექტორი, დირექტორის 2 მოადგილე, 2 ბუღალტერი, აუდიტი, 3 ფსიქოლოგი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, 70 მასწავლებელი, ექიმი, დარაჯები, მებაღე, დამლაგებლები, IT სპეციალისტი, იურისტი, პიარმენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სამეურნეო დარგის უფროსი, ცენტრალური გათბობის ოპერატორი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • დებულება;<br>• EMIS ამონაწერი;<br>• საშტატო ნუსხა;<br>• დირექტორთა საბჭოს ოქმი 29.08.2022;<br>• პირადი საქმეები;<br>• ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• ბრძანებების ჟურნალი;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| **პედაგოგთა საერთო რაოდენობა** | 70 |
| **მოწვეული** | 1 |
| **მაძიებელი** | 6 |
| **პრაქტიკოსი მასწავლებლი (უსტატუსო)** | 9 + 2 ესპანურის მასწავლებელი +1 ჭადრაკის მასწავლებელი |
| **უფროსი მასწავლებლი** | 44 |
| **წამყვანი მასწავლებლი** | 7 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | განათლების სისტემის საინფორმაციო ბაზიდან ამონაწერის თანახმად სკოლაში დასაქმებულია 70 მასწავლებელი, მათ შორის 44 უფროსი, 7 წამყვანი, 1 მოწვეული, 6 მაძიებელი და 9 პედაგოგი არის უსტატუსო. კერძოდ, სპორტის 2 მასწავლებელი, მუსიკის 2 მასწავლებელი, გერმანულის 1 მასწავლებელი, ინგლისურის 1 მასწავლებელი, ქართულის 2 მასწავლებელი და მათემატიკის 1 მასწავლებელი. სკოლას ჰყავს ასევე 2 ესპანურის და 1 ჭადრაკის მასწავლებელი.<br>მათემატიკის მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნის კომპეტენცია და სწავლობს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამაზე.<br>ქართულის მასწავლებლებთან დადებულია პირობითი ხელშეკრულება 2 წლის ვადით.<br>დანარჩენ უსტატუსო მასწავლებლებთან დადებულია ხელშეკურლება ვაკანსიის შევსებამდე.<br>სპორტის ერთ-ერთი პედაგოგი ფლობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელის ლიცენზიას, ხოლო მეორე საქართველოს ტაიკვანდოს ფედერაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • EMIS ამონაწერი;<br>• პირადი საქმეები;<br>• ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის დებულებით (მუხლი 16) და შინაგანაწესით (მუხლი 7) განისაზღვრება სკოლაში მასწავლებელთა მიღების წესი. აღნიშნულია, რომ სკოლაში მასწავლებელთა მიღება ხდება კონკურსის წესით საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20.08.2019 წლის, N174/ნ ბრძანების შესაბამისად. კონკურსის შესახებ განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ ვებ-გვერდზე pedagogi.ge.<br>შინაგანაწესით და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. სკოლის დებულების თანახმად, სკოლის დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭო წაახალისებს ან აკისრებს დისციპლინურ სახდელს სკოლის თანამშრომლებსა და მოსწავლეებს. სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.<br>დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, დასაქმებულის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება, სამსახურიდან გათავისუფლება. დაკონკრეტებულია დისციპლინური გადაცდომები და განსაზღვრულია შესაბამისი სახდელები. |

| | |
|---|---|
| | შინაგანაწესის მიხედვით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის გაფორმებისას კანდიდატის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია, რომელთა შორის მოითხოვება ნასამართლეობის ცნობა (მხოლოდ მასწავლებელს) და ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“. დასაქმებულთა პირად საქმეებში სრულად წარმოდგენილია შინაგანაწესით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • დებულება;<br>• შინაგანაწესი;<br>• ბრძანება დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ N2-04. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.<br>ხელშეკრულებით განისაზღვრება: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულებაში განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. დასაქმებულის მიერ ხელმოწერით დადასტურებულია, რომ სკოლის დირექტორმა მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნო სკოლის შინაგანაწესი.<br>სკოლაში დასაქმებულ წამყვან მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • EMIS ამონაწერი;<br>• პირადი საქმეები;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი 2022-2023 სასწავლო წლისთვის, რომელიც ასახავს, თუ როგორ ხდება სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. დასაქმებულების პირადი საქმეების შესწავლითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებში. სკოლამ წარმოადგინა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მუშაობის მიზნებია: სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება.<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე, პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.<br>სკოლაში შექმნილია საგნობრივი დეპარტამენტები, რომელთა ფუნქციებს შორის არის ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი, 2022-2023; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია ჯესსის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგიფის დებულება, 2022-2023;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• გასაუბრება ხარისხის მართვის მენეჯერთან;<br>• ხარისხის მართვის მენეჯერის პორტფოლიო. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ვიზიტის პერიოდში სკოლაში ჩატარდა გასაუბრებები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან. მასწავლებელთა განმარტებით სასწავლო გარემო სკოლაში კეთილგანწყობილი, მხარდამჭერი და თანამშრომლობითია. სკოლა აქტიურად ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე და მხარს უჭერს მათ ინიციატივებს.<br>მშობელთა მოსაზრებით სკოლაში არის დაცულობის ატმოსფერო, სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან კომუნიკაცია თანამშრომლობითია, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები გათვალისწინებულია.<br>მოსწავლეთა შეფასებით, მათ ჰყავთ პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებიც მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით თითოეული მათგანის საჭიროებას აკმაყოფილებენ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან სიძნელეების გადალახვაში. მათივე განმარტებით სასკოლო შემეცნებითი, სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებები, ასევე მრავალფეროვანი საკლუბო და წრეობრივი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მუშაობა ხელს უწყობს თითოეული მათგანის შესაძლებლობების გამოვლენას და მრავალმხრივი უნარების განვითარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • გასაუბრება მოსწავლეებთან;<br>• გასაუბრება მშობლებთან;<br>• გასაუბრება დასაქმებულ პირებთან;<br>• გასაუბრება დირექციასთან. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

**XI. თანდართული დოკუმენტაცია**

გვერდების რაოდენობა -55

თბილისი, 26.10.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.